

ივანე გიგინეიშვილი

სიტყვაწარმოების თავისებურებანი ვეფხისტყაოსანში*

1. ვეფხისტყაოსანი მეტად თვალსაჩინო ძეგლია XII-XIII საუკ. საერო ლიტერატურისა. ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში მას საპატიო ადგილი უჭირავს. ამდენად ვეფხისტყაოსნის ენის შესწავლა და მისი ადგილის ჩვენება ქართული სალიტერატურო ენის ისტორიაში ქართული ენათმეცნიერების მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს.

2. მიუხედავად იმისა, რომ ვეფხისტყაოსნის პრობლემების კვლევას კარგა ხნის ისტორია აქვს და საკმაოდ მდიდარი ლიტერატურაც არსებობს მის შესახებ, პოემის ენის შესწავლა სპეციალურად ენათმეცნიერული მიზნებით ფართოდ არ წარმოებულა. აქ ბევრი რამ არის გასაკეთებელი.

3. XX საუკუნემდის ჩატარებული მუშაობა ვეფხისტყაოსნის ენის შესწავლის გარშემო ლექსიკოლოგიური ხასიათისა იყო. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ვ ა ხ ტ ა ნ გ VI - ის ა და თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა - ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ის ნაშრომები. მაინც ეს ნაშრომები წინამეცნიერულ ეტაპს წარმოადგენენ ვეფხისტყაოსნის ენის კვლევის საქმეში.

არც შემდეგს ხანებში წარმოებულ ლექსიკოლოგიური ძიება წასულა შორს. ვეფხისტყაოსნის არსებული ლექსიკონები თანამედროვე ლექსიკოლოგიის მოთხოვნილებებს ვერ აკმაყოფილებენ. მეტიც: ისინი არც სრულია და არც შეცდომებისაგან არიან დაზღვეული.

4. XX საუკუნეში პოემის ენის საკითხებზე მუშაობა ისტორიულ-ლიტერატურულ პრობლემათა კვლევის დამხმარე საშუალებას წარმოადგენდა. კერძოდ, პოემის ენას მკვლევრები ორ ძირითად საკითხთან – პოემის ავტორის ვინაობა-სადაურობის გარკვევასთან და ტექსტის დადგენასთან – დაკავშირებით ეხებოდნენ.

* ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი სადისერტაციო შრომის თეზისები, 1944, თბილისი.

5. პოემის ავტორის, შოთა რუსთველის, ვინაობა-სადაურობის შესახებ ორი ძირითადი შეხედულება არსებობს: 1. შოთა რუსთველი მესხია; 2. შოთა რუსთველი ჰერეთის მკვიდრია. ამ შეხედულებათა დასამტკიცებლად წარმოებდა ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში მესხური თუ ჰერული დიალექტიზმების ძიება.

6. მესხურობის თეორიის მთავარი წარმომადგენელია ნ. მ ა - რ ი. მესხური დიალექტიზმები ლექსიკაში, რომლებზედაც იგი მიუთითებს პოემაში, რამდენიმე მაგალითით ამოიწურება მხოლოდ და ეს მაგალითებიც ძნელია სპეციფიკურ მესხურად იქნეს მიჩნეული. ნ. მ ა რ ი ს ა ვ ე ს ო ნ - მესხურობის ჰიპოთეზასაც მტკიცე დასაყრდენი არა აქვს და ამდენად ნაკლებ დამაჯერებელია.

7. მესხურობის თეორიის მომხრეთა (ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე და სხვ.) არგუმენტაცია, რასაც ისინი მიმართავენ თავიანთ შეხედულებათა დასამტკიცებლად, ელემენტარული ენათმეცნიერული ცნებების გაუთვალისწინებლობის ნიმუშს წარმოადგენს და მოკლებულია მეცნიერულ ღირებულებას.

8. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა ტ ო ნ ი შ ვ ი ლ ი ს ცნობაზე დამყარებით შოთა რუსთველის ჰერეთიდან წარმოშობილობას იცავს პ. ი ნ გ ო - რ ო ყ ვ ა. თავისი დებულების შესამაგრებლად იგი ენობრივი ხასიათის საკითხებსაც ეხება, მაგრამ მის მიერ ვეფხისტყაოსნის ენის საკითხების განხილვა ამოიწურება ზოგადი ხასიათის განცხადებით „ჰერეთის კილოს გავლენის“ შესახებ პოემის ენაზე და ამდენად საბუთიანობა არ ჩანს.

9. ტექსტოლოგიური ხასიათის მუშაობასთან დაკავშირებით ვეფხისტყაოსნის ენის საკითხებს განიხილავს იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე. მიუხედავად იმისა, რომ იუსტ. ა ბ უ ლ ა ძ ე ს გამონათქვამები პოემის ენის შესახებ შინაგანი წინააღმდეგობებითაა სავე და ენობრივი მოვლენების კვალიფიკაცია ხშირად მცდარია, ისინი მაინც არ არიან მნიშვნელობას მოკლებულნი, რამდენადაც აქ პირველადაა წარმოდგენილი პოემის ენის თავისებურებათა რამდენადმე ვრცელი აღწერა.

ასევე ტექსტოლოგიურის და აგრეთვე რუსთველის პოეტიკის საკითხების განხილვასთან დაკავშირებით პოემის ენას ეხება ვუკოლ ბ ე რ ი ძ ე. თუმცა ავტორი სპეციალურად ენათმეცნიერული ინტერესებით არ იკვლევს პოემის ენას, მაგრამ მისი შრომები ხასიათდება ფაქტების მართებული კვალიფიკაციითა და მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისის გატარებით.

10. ერთადერთ ნაშრომს, რომელშიც ვეფხისტყაოსნის ენა დიალექტოლოგიური თვალსაზრისით სპეციალური კვლევის ობიექტადაა ქცეული, წარმოადგენს არნ. ჩიქობავას გამოკვლევა „დიალექტიზმების საკითხისათვის „ვეფხისტყაოსანში“, რომელშიც გარკვევითაა მითითებული, თუ როგორ უნდა წარიმართოს პოემის ენის შესწავლა, ნაჩვენებია ვეფხისტყაოსნის მნიშვნელობა და ადგილი ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში და გადაწყვეტილია დიალექტიზმების პრობლემა პოემაში.

ვეფხისტყაოსნის მასალა ფართოდაა გამოყენებული და ფორმათა სანიმუშო ინტერპრეტაცია აქვთ მოცემული სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით აკ. შანიძესა და კარპ. დონდუას თავიანთ ნაკვლევებში.

11. სადისერტაციო ნაშრომში ცდაა ვეფხისტყაოსნის სიტყვაწარმოების თავისებურებათა გამოვლენისა. ძირითადად განხილულია ლექსიკური ხასიათის სიტყვაწარმოება: სახელთა ფუძეებისაგან წარმოქმნილი სახელები, ნაზმნარი სახელები, ნასახელარი ზმნები. ასეთი არჩევანი იმითაა გამართლებული, რომ სიტყვაწარმოებაში პოეტის ენის ინდივიდუალური თავისებურებები ყველაზე უკეთ მჟღავნდება: სიტყვაწარმოება ის უბანია, სადაც პოეტის სიტყვათმომოქმედებას მეტად ფართო გასაქანი აქვს.

სახელთა ფუძეებისაგან სახელების წარმოებისას შემდეგი მოვლენებია საყურადღებო:

12. **-იან**, **-ოსან**, **-იერ**, **-ოვან** სუფიქსებით მიღებული სახელები ხშირად სემასიოლოგიურად განსხვავდებიან ჩვეულებრივთაგან. ისინი მეტწილად სარიტმო სიტყვებად არიან გამოყენებული.

13. მრავალრიცხოვანია პოემაში კნინობითის **-ა** სუფიქსით ნაწარმოები სახელები. ესენიც სარიტმო სიტყვებს წარმოადგენენ მეტწილად. ასეთი სიტყვების უხვი ხმარება პოემაში მოწმობს იმ კილოს აქტიურ მონაწილეობას რუსთველის თანამედროვე სალიტერატურო ენაში, რომელშიც კნინობითი ფორმები ფართოდ უნდა ყოფილიყო გავრცელებული.

14. ადამიანთა სადაურობას ხშირად მხოლოდ გეოგრაფიული სახელი აღნიშნავს, ან კიდევ პირველადი სახელი გვარტომობისა.

15. არის ადამიანის სადაურობის აღმნიშვნელი სახელის **-ურ** სუფიქსით წარმოების შემთხვევაც (მაგ., მისრული).

ყურადღებას იქცევს ადამიანის სადაურობის გამოხატვა **მო-** – **ე** აფიქსებით (მოფრანგე, მოზალდადე...) ისევე, როგორც ძველებური წარმოების გადმონაშთი **მ-** – **ელ** აფიქსებით (მეგვიპტელი).

16. არის ერთი შემთხვევა არაგეოგრაფიული, ზოგადი სახელის **-ეთ** სუფიქსით წარმოებისა (მაგ., გზეთი).

17. **-ურ** სუფიქსის გამოყენებისას არაიშვიათად ამოსავლად უჩვეულო ფუძეებია აღებული (ღმრთ-ული, რა-ული, რ-ული...).

18. ხშირია **-ობ-ა** ბოლოსართით წარმოქმნილი აბსტრაქტული სახელები ზედსართავის ფუძეთაგან (ძნელობა, ჭრელობა...) და საკუთარ სახელთაგანაც (ფატმანობა, ავთანდილობა).

19. ასევე ხშირია **უ-** – **ო** აფიქსებით უქონლობის გამომხატველი სახელების წარმოება ზედსართავთა ფუძეთაგან (უხშირო, უმაგრო, უშმაგო, უბოროტო...). ამავე აფიქსებითაა ნაწარმოები სახელები მთელი შესიტყვებისაგან (უმისყმისო, უმისჟამისო).

20. დამახასიათებელია სხვადასხვაგვარი აფიქსის გამოყენება პარალელური ფორმების მისაღებად (სინაზე და ნაზობა, სიბერე და ბერობა, სიგძრე და გრძელობა...).

21. ზედსართავ სახელთა უფროობითი ხარისხის ფორმები ახალ ქართულისებურადაა წარმოდგენილი უმთავრესად, მაგრამ გვაქვს მთელი რიგი შემთხვევები ოდენ **უ-** – **ე** აფიქსებით წარმოებისა (უმართლე, უნათლე...). ერთგან ოდენ **უ-** – **ო** აფიქსებიანი ფორმაც გვხვდება (უთამამო).

უცხო არაა უფროობითი ხარისხის ფორმების წარმოება მიმდებობათაგან, კომპოზიტისაგან... ერთ შემთხვევაში არსებითი სახელისაგანაც არის წარმოებული ხარისხის ფორმა (დესი), ოღონდ უპრეფიქსოდ. ეს უკანასკნელი ხელოვნურია.

ჩვეულებრივი ფორმები უფროობითი ხარისხისა უმთავრესად ნათესაობით ბრუნვაში მართავენ შესადაარებლად აღბუღ სახელს, ოდენ **უ-** – **ე** აფიქსებიანი კი – მიცემითში, მაგრამ ასეთი კანონზომიერება ბოლომდის არაა გატარებული. სინტაქსურ ფუნქციათა ასეთი განსხვავებულობა იმავე რიგის მოვლენა ჩანს, რაც შეურწყმელი თანდებულების მიერ სახელთა ბრუნვაში მართვისას შეინიშნება.

ნ ა ზ მ ნ ა რ ს ა ხ ე ლ თ ა წ ა რ მ ო ე ბ ი ს ა ს საყურადღებოა შემდეგი მოვლენები:

22. ერთისა და იმავე ზმნისაგან მასდარის სხვადასხვა სახეობაა მიღებული სხვადასხვა ფუძეზე დაყრდნობით (კადრება და კად-

რა, დაგვა და დაგა, კრძალვა და კრძალა), რაც იწვევს ფორმათა მრავალფეროვნებას.

ხშირად მასდარი **-ნ** სუფიქსით ნაწარმოებ მრავლობით რიცხვშია წარმოდგენილი, რაც ხელოვნურია და რითმის მოთხოვნილებითაა მეტწილად გამოწვეული.

23. საწარმოებელი აფიქსების გამოყენებისას პოეტი დიდ თავისუფლებას იჩენს: ერთი ტიპის მიმღეობის აფიქსები მეორე ტიპის მიმღეობისთვისაა გამოყენებული და პირუკუ. ხშირად უჩვეულო აფიქსებითაც არის მიმღეობა ნაწარმოები, ან ჩვეულებრივს ფორმებს კიდევ ემატება სხვა აფიქსები (ნადებარე, შენამჭვრეტი, გასაგმირო, დასაღვარო, საწყინარე, მოსანდომარე, მქებარე, მოუბარე, მეომარე, მჭვრეტე, მჭამე, მიუმხვდარე, მიუმხვდარო, შეუმრობილი, უკადრო...).

24. მიმღეობათა საწარმოებელი აფიქსებია:

ვნებითი გვარისათვის: **-ულ, -ილ, -ნა-, ნა- -- -არ, ნა- -- -ალ, ნა- -- -არ-ე, ნა- -- -ე, ნა- -- -ენ, მ- -- -არ, ნა-მ- -- -არ, სა-, სა- -- -ელ, სა- -- -არ, სა- -- -არ-ე, სა- -- -ო, სა- -- -ე, სა- -- -ურ.**

მოქმედებითი და საშუალი გვარისათვის: **მა-, მო-, მე-, მ-, მ- -- -ელ, მ- -- -არ, მ- -- -არ-ე, მ- -- -ო-არ-ე, მ- -- -ო, მა- -- -ელ, მო- -- -არ, მო- -- -არ-ე, მო- -- -ე, მე- -- -ე, მე- -- -არ-ე, მ- -- -ე.**

უარყოფითი მიმღეობისათვის: **უ-, უ-მ- -- -არ, უ-მ- -- -არ-ე, უ-მ- -- -არ-ო, უ- -- -არ, უ- -- -ელ, უ- -- -ო, უ- -- -ე.**

სახელთაგან ზმნების წარმოებისას შემდეგი მოვლენებია აღსანიშნავი:

25. ვეფხისტყაოსნის ენა ზმნური ფორმების სიუხვით ხასიათდება. განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ნასახელარ ზმნათა სიმრავლე. ზმნებს რუსთველი აწარმოებს ისეთ ფუძეთაგან, რომელთაგან ჩვეულებრივ ზმნები არ მიიღება. ასეთებია: ზოგიერთი სახელი, ზმნისართები, შორისდებულები და სხვ. (უათასდა, უათდა, იასოცნეს, ეაგეთა, გაეთანისთანა, სდედებია, სდებია, უობს, იღმრთო, იცო, მადეს, მახია, უშვიდეთ, ურვეთ, ახვალეს, აერთხელეს, იანაზდენით, იქედგოროს, უშნა, იახნა, ახეს, ივაგლახ-ივიან).

26. პოემის ავტორი ერთი ტიპის წარმოებას მეორით ცვლის, მოსალოდნელი **-დ** სუფიქსიანი ვნებითის ნაცვლად **ე-** და **ო-** პრეფიქსიანი ფორმა და პირუკუ (იხოს, გავიმწარებით, მემზოს, მეხოს, გამელალოდა, დამებერა, ეათასების).

27. მოქმედებითი გვარის ზმნათა საწარმოებლად ხშირად მაზმნავებელი აფიქსები არაა გამოყენებული (ვარდა, ხენ, ასა).

28. სიტყვაწარმოების თვალსაზრისით ანალოგიური ვითარებაა რუსთველის ეპოქის ზოგიერთი სხვა ძეგლის ენაშიც: მეხოტბეებთან, პეტრიწონული სკოლის ძეგლებისა და ზოგიერთი საისტორიო თხზულების ენაშიც. პეტრიწის ენაში სიტყვაწარმოება გაცილებით უფრო ფართოდაა წარმოდგენილი. იქ ყველგან რუსთველური წარმოება გაცილებით უფრო ხელოვნური ჩანს, ვიდრე ეს ვეფხისტყაოსანშია.

29. რუსთველის ენას სიტყვაწარმოებითი ფორმების სიუხვე და მრავალფეროვნება ახასიათებს. ამის საშუალებას პოეტს მისი თანამედროვე სალიტერატურო ენა აძლევდა, რომელშიც უხვად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სხვადასხვა კილოდან მომდინარე ფორმები. რუსთველმაც შესანიშნავად გამოიყენა მისი თანამედროვე სალიტერატურო ენის ასეთი ხასიათი თავისი გენიალური ლექსისათვის.

30. ვეფხისტყაოსნის ლექსიკაში ნაწარმოები სიტყვების პროცენტი დიდია. ასეთი სიტყვების უხვად გამოყენება აიხსნება რითმისა და ლექსთწყობის საჭიროებით. ზოგ შემთხვევაში ამ მიზნით პოეტი ხელოვნურ ფორმებსაც არ ერიდება.

31. რუსთველი დიდი სიტყვათშემოქმედია. სიტყვათშემოქმედება კი გულისხმობს ენაში არსებულ საშუალებათა ცნობილ მასალასთან ისე გამოყენებას, რომ შედეგად ახალი ენობრივი ერთეულები მიიღება. რუსთველიც ამ გზით მიდის და ფართოდ მიმართავს სიტყვაწარმოებითს საშუალებებს. ამიტომაა მისი პოემა სავსე ფორმებით, რომლებიც ნეოლოგიზმებს წარმოადგენდნენ XII-XIII საუკუნეების ქართული სალიტერატურო ენისათვის.

32. რუსთველის ენა მთელს ეპოქას წარმოგვიდგენს ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ისტორიაში. ამ ენის შესწავლა ნათელს მოჰფენს ქართული სალიტერატურო ენის ისტორიის ერთს დიდსა და მეტად საყურადღებო პერიოდს, რომელიც საშუაალი ქართულის სახელითაა ცნობილი და, სამწუხაროდ, ჯერ თითქმის შეუსწავლელია.

ამავე დროს ვეფხისტყაოსნის ენა დიდი მწერლის ენაა, მდიდარი ინდივიდუალური თავისებურებებითაც.

Ivane Gigineishvili

**Peculiarities of Word-Formation in
„The knight in the panther’s skin“**

S u m m a r y

The paper analyzes the entries which occur at the noun stems. The forms derived from **-ian**, **-osan**, **-ovan**, **-ur** suffixes are analyzed. The formants of deverbative nouns (namely, formative affixes of participle) are distinguished. Attention is focused on Rustaveli’s word-creation.